

K17916  
1

ელოს სსრ პოლიტიკური და მთველისული ცოდნის  
გამამრავლებელი საზოგადოება

დავით კანდერავი  
საზოგადოების ნამდვილი წევრი

# ვოგოგავი

(ძირითადი საკითხები ვოგოგოვარების)

საჯარო ლექციის სტენოგრამა

საქართველოს სსრ კონგრესის და მთავრობის  
გამარტინაცემის საზოგადოება

77  
52063  
833

დავით კანდერავი  
საზოგადოების ნამდვილი წევრი

# ვოგოგავი

(პირითაღი საკითხები ვოგომოყვარეთათვის)

საჯარო ლექციის სტენოგრამა

22



თბილისი - 1952

1957



## Ց Յ Ո Շ Ե Ց Յ Ա Ծ Ե !

Սայահութելով և սար პռլունքոյն և մեպնունքուն  
պռլուն գամացրութելու և սանցադունքա զտեռու զգապ-  
նոծու տէցըն անհու սանցադունքին մոյն գամութեմուն  
լոյնուա—սբունցրամենին ֆըսանցեմ.

տօնուածու, յառահունու յուհա. № 4.

Հեղաժուռու — լ. ցեսկու  
սանցադունքին գամցունու  
Հեղաժուռու — ց. ծովահունց

---

Հաւայցա թարմունքա 26/III-52 թ. Եցլութերունու դասածեցւագ 8/V. 52 թ. անշցո-  
ծուն նոմա 6X9½, յաձալունու նոմա 60X84. Տասըրամծու ցորհմատա հառցենուն 2,4  
Մայզունու Նո 336. Տուրայու 10.000 պա 02293

---

Տռլուջրագումծոնաւու ՝ գոմունունու տօնուածու, լունունու յ. № 14.

Պոլիգրաֆկոմբինատ „Կոմունիստ“  
յլ. Լենինա № 14.



ჩვენი მოკლე ლექციის მიზანია რამდენადმე მაინც დაეხმაროს ფოტომოყვარულს, რომელიც ცოტად თუ ბევრად უკვე ფლობს ძირითად ფოტოგრაფიულ ჩვევებს.

როგორც ცნობილია, ფოტოგრაფის ცოდნის ყველა დარგში იყენებენ. განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მან საბჭოთა ქვეყანაში მიღლო. ჩვენი ახალგაზრდობის ფართო მასა გატაცებულია ფოტოსაქმით. მრავალი ფოტომოყვარული მოწადინებულია საფუძვლიანად შეისწავლოს, გააუმჯობესოს და წინ წასწიოს ეს საქმე.

ფოტომოყვარულობის წახალისება, მისი განვითარებისათვის ზელის შეწყობა ჩვენში აუცილებელ საჭმეს წარმოადგენს. მას სულ უფრო მეტი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლევა.

მაგალითისათვის ავიღოთ კედლის გაზეთში მონაწილეობა — ფოტომოყვარულის საზოგადოებრივი მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახე. ჩვენში ათეულ ათასობით კედლის გაზეთი გამოდის. კედლის გაზეთი საზოგადოებრიობის ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია და უდიდეს როლს ასრულებს მუშაობისა და სწავლის გაუმჯობესებაში, ნაკლოვანებათა გამოსწორებაში და სხვ.

ფოტოს ყველა დარგში იყენებენ: უურნალ-გაზეთებში, წიგნებში, სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში, ავიაციაში, სამთო საქმეში, ასტრონომიაში, ხელოვნებაში, მედიცინაში და სხვ.

\* \* \*

ფოტოგრაფია გვასწავლის, თუ როგორ უნდა მივიღოთ საგანთა გამოსახულება, როცა სინათლის შუქი ამა თუ იმ შუქ-შემგრძნობ ნივთიერებაზე მოქმედებს.

სიტყვა ფოტოგრაფია წარმოსდგება ორი ბერძნული სიტყვი-საგან: „ფოს“-შუქი, „გრაფოს“-ვწერ, და ნიშნავს „შუქწერას“.

ფოტოგრაფიის საფუძველს შეადგენს ორი მეცნიერება — ოპტიკა და ქიმია. ფოტოკამერაში გამოსახულების მიღება ოპტიკის კანონების თანახმად ხდება, ხოლო ქიმია გვასწავლის იმ შუქშემგრძნობი ზედაპირის შემადგენლობასა და დამუშავებას, რომელზედაც ობიექტივის საშუალებით გამოსახულება მიიღება.

ფოტოგრაფიის იდეის წარმოშობა უძველეს დროს უნდა მი-  
გაკუთნოთ, მაგრამ ადამიანის პირველ პრაქტიკულ ნაბიჯად ამ მი-  
მართულებით უნდა მივიჩნიოთ ვერცხლის მარილებისა და მათი  
გაშავების თვისების აღმოჩენა. ეს აღმოჩენა 1260 წელს მიეკუთ-  
ვნება.

შუა საუკუნეების შრომებში აღნიშნულია, რომ იმ დროს იცოდ-  
ნენ ტყავის გაშავება ვერცხლის ნიტრატით. შემდეგ შეისწავლეს  
ვერცხლის ქლორიდით გაშავება და სხვ.

1452—1519 წწ. სახელგანთქმული იტალიელი მხატვრის ლეო-  
ნარდო და ვინჩის ხელნაწერებში პირველადაა აღწერილი პრინცი-  
პი, თუ როგორ მიიღება გამოსახულება ფანჯრის დარაბაში გაქმ-  
თებული პატარა ხერეტილით, რომლის წინ მოთავსებულია ქალალ-  
დის თეთრი ფურცელი.

პირველი პრაქტიკული ნაბიჯი, რომელმაც შესაძლებელი გახა-  
და ფოტოგრაფირებული საგნის მყარი ფოტოგრაფირებული გამო-  
სახულების მიღება, 1825 წელს გადაიდგა. ეს წელი ისტორიულ  
თარიღად ითვლება.

ფოტოგრაფიის განვითარების ისტორიაში დიდი ხნის მან-  
ძილზე ბევრი გამომგონებელი, მეცნიერი და პრაქტიკოსი მუშა-  
ობდა.

მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დიდი შემოქმედები-  
თი შრომა და ლრმა გამომგონებლობითი აზრი, რომელიც ფოტო-  
გრაფიაში ეკუთვნის რუს მოღვაწეებს, როგორიც არიან ა. გრეკო-  
ვი, დ. ესტჩევსკი, შალიკვი (შალიკაშვილი), ი. ფილიპენკო, იურ-  
კოვსკი, კოზლოვსკი, ს. ლევიცკი და სხვ.

ამ საქმის გაუმჯობესება-განვითარებაში განსაკუთრებით თვალ-  
საჩინო როლი შეასრულა ფოტოგრაფია სერგეი ლევიცკიმ. ლევიც-  
კი დაიბადა მოსკოვში 1819 წელს. მან დაამთავრა მოსკოვის უნი-  
ვერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და გატაცებით მოჰკიდა ხე-  
ლი ფოტოგრაფიის საქმეს. ლევიცკიმ პირველმა იხმარა გამოთქმა  
„შუქწერა“ („სვეტოპის“); 1849 წელს ლევიცკი სურათის გადიდე-  
ბისათვის ოქროს მედლით დააჯილდოვეს. ლევიცკიმ თავისი მუ-  
შაობით ჩქარა მიაპყრო ყურადღება როგორც რუსეთში, ისე ივ-  
როპაში და მისი პროდუქცია საუკეთესო ნიმუშად ითვლებოდა.  
1865 წელს მან პეტერბურგში საკუთარი ფოტოატელიე გახსნა და  
ჩინებულად მოაწყო.

თავისი 50 წლის მოღვაწეობის მანძილზე ლევიცკიმ ბევრი რამ გააკეთა ფოტოგრაფიისათვის. 1847 წელს მან თავისი კონსტრუქციით მოაწყო პირველი ფოტოკამერა ტყავით. 1860 წელს ლევიცკიმ გამოიგონა და გამოიყენა სანეგატივო რეტუში რბილი ფანქ-რით, რომლითაც პროფესიონალი ფოტოგრაფები დღესაც სარგებლობენ. ლევიცკიმ პირველმა გააკეთა საპავილიონო სადგამი და დაამზადა დეკორაციული ფონები. როგორც ფოტოგრაფიის გამოჩენილი მცოდნე, ლევიცკა არჩეული იყო რუსეთის ყველა გამოფენისა და სამი საზღვარგარეთული გამოფენის ექსპერტად. ლევიცკის „ფოტოგრაფიის პატრიარქს“ უწოდებენ.

ლევიცკის უმცროსი თანამედროვე იყო პირველი ქართველი ფოტოგრაფი ალექსანდრე სოლომონის ძე როინაშვილი, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ფოტოგრაფიის განვითარების საქმეში.

ა. როინაშვილი დაიბადა 1846 წელს ქ. დუშეთში, ლარიბი გლეხის ოჯახში. ალექსანდრეს მოღვაწეობაში მეტად ღირსშესანიშნავია მისი დაუღალევი ზრუნვა საქართველოში ფოტოხელოვნების გავრცელებისათვის. მან 1889 წელს თბილისში გახსნა ფოტოგრაფია, რომელიც წარმოადგენდა თავისებურ სკოლას. ის ეძებდა ობოლ და ლარიბ ბავშვებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მოჰყავდა ისინი თავის ფოტოატელიეში და ასწავლიდა ფოტოხელოვნებას.

როგორც პირადი წერილები, მოკონებები და სხვა საბუთები ვვიმტკიცებენ, ა. როინაშვილი ფოტოგრაფობასთან ერთად მხატვრობასაც ეწეოდა.

ა. როინაშვილი დადიოდა მთელ საქართველოში და იღებდა ისტორიული ძეგლების, მცხოვრებთა ტიპების, საზოგადო მოღვაწეების, მწერლების სურათებს. თავის მოწაფეებს ის ასწავლიდა: ისტორიული ძეგლები ინგრევა, ცხოვრება იცვლება, ფოტოსაბუთები მაინც დარჩება მომავალ თაობასთ.

ა. როინაშვილი გარდაიცვალა 1898 წელს. მან მთელი თავისი ქონება უანდერძა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომელმაც იგი დაასაფლავა დიდუბის პანთეონში და თავის ხარჯით ძეგლიც დაუდგა.

საქართველოს დიდ მოამაგეს — ილია ჭავჭავაძეს მხედველობიდან არ გამორჩენია ამ უსწავლელი, საქვეყნო საქმისათვის თავ-

დადებული დარიბი გლეხის შეილის მოღვაწეობა. ა. როინაშვილის  
გარდაცვალების გამო იგი წერდა: „ბოლოს თავისი ნალგაწ-ნამა-  
გვევი, პატიოსანის შრომით მოგებული, თავის ქვეყანას მიართვა,—  
შესაწირავი იქნებ დიდი არ იყოს, მაგრამ დიდია გული, საცა-  
მისთანა სიყვარული ქვეყნისა ჩასახულა და გაზრდილა, და სადიდე-  
ბელი მით უფროა, რომ იგი გული უმწეო გლეხეაცის შეილია“ \*.

\*      \*

ფოტოგრაფიის მთავარი პრინციპები. ფოტოგრა-  
ფიული გამოსახულება მიიღება სამი მთავარი და თანამიმღევარი  
პროცესის შედეგად. ეს პროცესებია: 1) სურათის გადაღება, 2)-  
ნეგატივის დამუშავება (გამოვლინება) და 3) პოზიტივის (ანაბეჭ-  
დის) მიღება. ორ უკანასკნელ პროცესს სანეგატივო და სა-  
პოზიტივო პროცესები ეწოდება.

გადაღება ეწოდება რაიმე გარეშე საგნის (სიუჟეტის) გამოსა-  
ხულების მიღებას ფირფიტაზე თუ ფირზე, რომელიც მოთავსებუ-  
ლია ფოტოკამერაში. ეს გამოსახულება გამოვლინებამდე უჩინარია-

სანეგატივო პროცესი მოიცავს ყველა სახის ლინისძებას,  
რომელთა მიზანია იმ უხილავი შუქური შთაბეჭდილების გამოვლი-  
ნება და გამყარება (ფიქსირება), რომელსაც ფირფიტა თუ ფირი  
მიიღებს (ნეგატივის მიღება).

საპოზიტივო პროცესი იმაში მდგომარეობს, რომ გამოსახუ-  
ლება ნეგატივიდან შებრუნებული სახით გადავიტანოთ ფოტოქა-  
ღალდზე.

ფოტოგადაღებისათვის მთავარი მნიშვნელობა აქვს სათანადო  
სანეგატივო მასალის შერჩევას. ერთი და იმავე ხარისხის ფირი თუ  
ფირფიტა ყოველთვის როდი გამოღება ყველა სახის გადაღებისა-  
თვის, (რასაც ფირზე ვლაპარაკობთ, ის ფირფიტასაც ეხება). სხვა-  
დასხვა ფერისადმი ფერშეგრძნების თვალსაზრისით, სანეგატივო მა-  
სალა ძირითადად იყოფა სამ კლასად: ჩვეულებრივი, ორ ტოქ-  
რომატული და პანქრომატული.

ჩვეულებრივ ფირს ის ნაკლი აქვს, რომ მას ყველა ფერისად-  
მი თანაბარი გრძნობიერება არ გააჩნია, ამიტომ ფერად აბიექ-

\* ილია ჭავჭავაძე. თხ. კრებული, ტ. II, გვ. 540, 1941 წ.

ტებს არასწორად გადმოგვცემს ტონების გრადაციის თვალსაზღისით.

ჩვეულებრივი სანეგატივო მასალა გრძნობიარეა უმთავრესად ლურჯი და იისფერი სხივებისათვის, ხოლო ყვითელი, მწვანე, ნარინჯის ფერი და წითელი სხივები ამ ხარისხის სანეგატივო მასალაზე არავითარ გავლენას არ ახდენს.

რომელიმე ფერად საგანს, რომელსაც აღნიშნული ფერები ახლავს, ამგვარად თუ გადავიღებთ, მივიღებთ ანაბეჭდს (ფოტოსურათს), რომელიც ამ საგანს დამახინჯებული ტონებით გადმოგვცემს. ყვითელი და ნარინჯის ფერები, რომლებიც ჩვენს თვალს ლურჯზე ან იისფერზე უფრო ღიად ეჩვენება, ანაბეჭდზე თითქმის შავი იქნება, ამავე დროს ლურჯი ფერი გადმოიცემა ისეთივე თეთრი ტონით, როგორც გადაღებული საგნის თეთრი ნაწილები.

ფერების ეს არასწორი გადმოცემა და არაბუნებრიობა თვალში გვეცემა, როდესაც ნახულ პეიზაჟს და მისგან მიღებულ სურათს ერთმანეთს შევადარებთ. აი, ჩვენ აღტაცებული ვართ ზაფხულის პეიზაჟის ფერადოვნებით, გვხიბლავს ლამაზი, ხუჭუჭა თეთრი ღრუბლები, რომლებიც მკაფიოდ ისახება მოლურჯო ცაზე, გვიტაცებს ხეების ხასხასა სიმწვანე. მაგრამ აი, გადავიღეთ ეს პეიზაჟი, გამოვალინეთ ნეგატივი და დაგებეჭდეთ ფოტოსურათი: შედეგს ცუდს მივიღებთ, რადგან ცის გამოსახულება სურათზე სრულიად თეთრი, თანაბარი და ბრტყელი იქნება; ღრუბლის თითქმის ნასახიც არ გამოჩნდება; ხის ფურცლები თითქმის შავი იქნება. ასეთივე შედეგს მივიღებთ პორტრეტების გადაღების დროს ჩვეულებრივ სანეგატივო მასალაზე; თვალების, ტანისამოსის, თმის ფერი და სხვა გადმოცემული იქნება დამახინჯებული ნიუანსებით.

ფოტოგრაფიული პროცესის ყველა ამ ნაკლის ასაცილებლად საჭიროა, რომ ჩვეულებრივი სანეგატივო მასალა ხელოვნურად შემზადდეს. ფოტოგრაფიული სანეგატივო მასალა შეიძლება გრძნობიერი გავხადოთ ყველა ხილული და ბევრი უჩინარი სხივისაღმი. იმისათვის, რომ ფირი გრძნობიერი გახადონ ამა თუ იმ ფერის მიმართ, ჩვეულებრივ ფოტოგრაფიულ ემულსიაში დამატებით შეკუთ განსაკუთრებული გამაგრძნობიერებელი ნივთიერებანი — საღებავები. ემულსიაში გამაგრძნობიერებელი ნივთიერებათა შეყვანას ეწოდება ფოტოგრაფიული მასალის ს ე ნ ს ი ბ ი ლ ი ზ ა ც ი ა, რაც ნიშნავს ამ მასალის გაფრძნობიერებას (ფერშეგრძნების გაძლიერებას).

ქართველი

მწვანე, ყვითელი ფერისადმი და ნაწილობრივ ნარინჯის ფერი-  
საღმი სენსიბილიზებულ სანეგატივო მასალას უწოდებენ ორ ტოქ-  
რომა ტულ მასალას (ბერძნული სიტყვა: ორტოს—სწორი და  
ქრომოს—ფერი). ჩვენი ქარხნები ამ მასალას უშვებენ ორტოქრო-  
მისა და იზორტოს სახელწოდებით.

სანეგატივო მასალას რომელიც სენსიბილიზებულია ნარინჯის-  
ფერი და წითელი სხივების მიმართ, ეწოდება პანქრომა ტუ-  
ლი მასალა (პან—მთლად, სულ), ხოლო ფირს, რომელიც თანაბრად  
გრძნობიერია ყველა ხილული სხივის მიმართ, იზოპანქრომა-  
ტულ სანეგატივო მასალას უწოდებენ.

ამგვარად, სანეგატივო მასალის სენსიბილიზაცია საშუალებას  
გვაძლევს უფრო სწორად გადმოვცეთ გადასაღები საგნის ფერადი  
ნიუანსები.

ამჟამად სენსიბილიზებულმა სანეგატივო მასალამ უკვე ფართო  
გავრცელება პოვა.

არასენსიბილიზებული ემულსიის სახით ამჟამად უშვებენ მხო-  
ლოდ სარეპროდუქციო ნეგატივებს.

გარდა ზემოაღნიშნული სანეგატივო მასალებისა, არსებობს  
კიდევ დიაპოზიტივური და შარავანდედსა და ინაალმ-  
დეგო ფირფიტები და ფირები.

\* \* \*

სენსიტომეტრი. დამზადებული და გამოშვებული ფირი  
სხვადასხვა გრძნობიერებისა, როგორც, მაგალითად: ნორმალუ-  
რი, საშუალო, მიღალი და უმაღლესი.

ფოტომოუვარულმა და საერთოდ ფოტოგრაფიაში მომუშავებ  
სურათის გადაღების წინ უნდა იცოდეს სანეგატივო მასალის ხა-  
რისხი და გრძნობიერება, რათა განსაზღვროს ექსპოზიცია და კარ-  
გად ჰქონდეს გათვალისწინებული ამა თუ იმ სანეგატივო მასალის  
დახასიათება. გრძნობიერება ზუსტად განისაზღვრება გრადუსო-  
ბით, სპეციალური ხელსაწყოს საშუალებით, რომელსაც სენსი-  
ტომეტრი \* ეწოდება.

სენსიტომეტრია არის ფოტოგრაფიის ნაწილი და რაოდენობ-  
რივად ზომავს სანეგატივო მასალის ემულსიის ფენის შუქშეგრძნო-

\* სენსიტომეტრია ლათინურად გრძნობიერების გაზომვას ნიშნავს.



№ 1. ელოდი—სილუსტი ზეგანია და ცის ფუნქცია გადაღებულია კანტრაქტური სინათლით კატერა „ლიდი“-ზ, შემდეგ  
გადაღებულია, ყიდულობასთან ერთად, 1.000<sup>0</sup>, ჩვენი განვითარების № 2 ხმარებით; ესკონტიც 1/200-  
დაიკრატს დაახლოებით 8.



№ 2.—ბავშვის პორტრეტი—გადაღებულია ოთახში: ანათებს 75 სანთლიანი რეფლექტორი პირდაპირ; ფოტოკამერა „მოსკოვი-1“, სადგამიდან, შემდგომ გადიდებულია, ექსპოზიცია 1/60, დიაფრაგმა ღია, ფირი პანქრომი, მგძნობიარობა 1.800°.

ბას. მრავალი სახის სენსიტომეტრთაგან ჩვენში იხმარება დრით-ფილდის და ჰერტერის სისტემის სენსიტომეტრი, რომელიც ზემოქლებით აღინიშნება რუსული ასოებით. „Д и Х“ მაგალითად გრძნობიერება— $800^{\circ}$ ,  $1.200^{\circ}$ ,  $2.500^{\circ}$  და ა. შ. დ ი ხ ჩვეულებრივ იწერება კოლოფის ეტიკეტზე.

ფოტოგრაფიული სანეგატივო მასალა, გრძნობიერების გარდა, ხასიათდება აგრეთვე რამდენიმე სხვა მეტად მნიშვნელოვანი თვისებით, სახელდობრ: კონტრასტულობით (გამა) და სიფართოვით.

\* \* \*  
ყვითელი და ფერადი შუქფილტრების გამოყენება გადალების დროს. ფოტოგრაფიულ ფირზე სწორი ფერგადაცემის მისაღწევად მარტო სენსიბილიზაციის გამოყენება საჭმარისი არ არის. ფერშემგრძნობი ფირების აღწერის დროს აღნიშნეთ, რომ ლურჯი ფერისა და ისფერის გრძნობიერება საჭმაოდ დიდია. ამიტომ იმ მიზნით, რომ გადალების დროს შევანელოთ მათი ზემოქმედება ფერშემგრძნებ ფირზე, უნდა გამოვიყენოთ ყვითელი ანუ ეგრეთ წოდებული საკომპენსაციო შუქფილტრი.

შუქფილტრის გამოყენებას ჩვეულებრივი, არასენსიბილიზებული ფირების მიმართ აზრი არა აქვს, რადგან ეს სანეგატივო მასალა სხვა სხივებისადმი, გარდა ლურჯი და ისფერი სხივებისა, ნაკლებ გრძნობიერია და მისი გამოყენებით მხოლოდ უსარგებლოდ გავახანგრძლივებთ ექსპოზიციას. სწორ ფერგადაცემას კი ვერ მივიღებთ. ასევე უსარგებლოა ორტოქრომატულ და პანქრომატულ ფირებზე გადალება უშუქფილტროდ.

როგორც წესი, შენობის შიგნით და, განსაკუთრებით, ელექტრონათურის მინათებისას ფილტრი არ გამოიყენება, რადგან თვითონ ელექტრონათურა ნაწილობრივ ფილტრის მაგიერობას ეწევა.

რას წარმოადგენს ფილტრების პრაქტიკული ათვისება და მათი გამოყენება გარეთ გადალების დროს?

იმისათვის, რომ სანეგატივო მასალაზე მივიღოთ ცოტად თუ ბევრად სწორი გრადაცია ტონებისა (ფერებისა), მარტო სენსიბილიზაცია საჭმარისი არ არის. ჰაერზე გადალებისას უნდა გამოვიყენოთ შუქფილტრი, ძირითადად ისეთი, რომელიც ნაწილობრივ ნთებას ლურჯ-ისფერ და ულტრაიისფერ სხივებს. სენსიბილიზებული ფირების აღწერის დროს ზემოთ ვთქვით, რომ მათი გრძნობიერება ლურჯი - ისფერი და ულტრაიისფერი სხივების მიმართ

საქმიანდ დიდია. ამიტომ იმისათვის, რომ შევანელოთ მათი მოქმედება ფერშემგრძნობ სანეგატივო მასალაზე, საჭირო ხდება ყვითელი ფილტრის გამოყენება. მუშაობისათვის ძირითადად საჭიროა სხვადასხვა ჯერადობის რამდენიმე შუქფილტრი: ძალიან ღია, საზუალო სიმუქისა, მუქი, ნაწილობრივ გამუქებული, საშუალო, მუქი წითელი, ნარინჯისფერი და სხვ.

ავწეროთ შუქფილტრები.

შუქფილტრი № 1 — ყველაზე სუსტია (ღიაა), ნოქაეს ლურჯ სხივებს იმდენად, რომ სანეგატივო მასალის—ორტოქრომის გამოყენებისას მიიღება ყვითელი და მწვანე ტონების დაახლოებით სწორი შეფარდება ლურჯი ტონის მიმართ. პანქრომზე და იზოპანქრომზე გადაღებისას ნაწილობრივ მიიღება წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი და მწვანე ტონების სწორი შეფარდება ლურჯი ტონის მიმართ. № 1 ფილტრი უმთავრესად იხმარება სწრაფი გადაღების, აგრეთვე პორტრეტის გადაღების დროს გარეთ, რადგან იგი რამდენადმე ფარავს ჭორფლს და აუმჯობესებს თვალებისა და თმის ფერის გადმოცემას.

შუქფილტრი № 2 — მნიშვნელოვნად უფრო აუმჯობესებს ფერგადაცემას, ვიდრე შუქფილტრი № 1, და ფართოდ გამოიყენება როგორც პორტრეტის, ისე პეიზაჟის გადაღების დროს.

შუქფილტრი № 3 — იძლევა სწორ ფერგადაცემას, მხოლოდ ოდნავ აძლიერებს ლურჯ და იისფერ ტონებს; ლურჯი ფერი და იისფერი უფრო მუქი გამოდის. იგი საკმარისად სპობს ჰაერკვამლს და საუცხოოდ გადმოგვცემს ღრუბლებს; ამიტომ განსაკუთრებით კარგია გაშლილი დაშორებული პეიზაჟების გადასაღებად. დიდი ჯერადობის გამო, მისი გამოყენება პორტრეტის და სწრაფი გადაღებისათვის მიზანშეუწონელია.

ზემოაღნიშნულ შუქფილტრებზე უფრო მუქი შუქფილტრი გვაძლევს არასასურველ გადამეტებულ ფერგადმოცემას. ლურჯი ტონები მიიღება ზავად, ყვითელი კი — თეთრად; პეიზაჟის გადაღებისას კა თითქმის ზავი გამოდის.

ამიტომ გარეთ გადაღების დროს ფილტრების მაღალ ხარისხოვნად გამოყენების მიზნით ფოტომოყვარულმა სჯობს იხმაროს შემდეგი ჯერადობის ფილტრები: № 1, და № 2 და ზოგჯერ № 3.

გადაღების პრაქტიკაში დაგვჭირდება ეგრეთ წოდებული ნაწილობრივ გამუქებული შუქფილტრი. იგი წარმოადგენს მინას, რომ

ლის ერთი ნაწილი შეღებილია ძალიან მუქი ყვითელი საღებავით, რაც თანდათან სუსტდება შუაგულისაკენ, შუაგულის შემდეგ კი მინა გამჭვირვალეა. ეს შუქფილტრი უმთავრესად იხმარება ღრუბლებისათვის, რითაც ღრუბლები სურათზე უკეთ გამოისახება. ამ შუქფილტრის ხმარების დროს ექსპოზიციის გახანგრძლივება საჭირო არ არის, რადგან გამოსახულებაზე ის ფარავს მხოლოდ ცას, დანარჩენ ნაწილებზე კი არ მოქმედებს.

წითელი შუქფილტრებიც სხვადასხვა ჯერადობისაა. პრაქტიკაში გამოსაყენებლად უფრო მოხერხებულია საშუალო სიმუქეის წითელი შუქფილტრი; იგი გამოიყენება პანქრომზე და იზოპანქრომზე გადალების დროს, განსაკუთრებული ეფექტის მისაღწევად, კერძოდ, დღის სინათლეზე ღამის განათების ეფექტის შესაქმნელად. წითელი შუქფილტრის გამოყენებით გადალება უნდა მოხდეს აუცილებლად მზის კაშკაშა სინათლეზე და კონტრაჟურის განათებით (მზის პირდაპირ), მაგრამ ექსპოზიცია ბევრად უფრო უნდა იქნას გადიდებული, ვიდრე ყვითელი შუქფილტრების ხმარების დროს.

ნარინჯისფერი შუქფილტრები საპორტრეტო გადალებისათვის შეუფერებელია, სამაგიეროდ პეიზაჟის გადალების დროს ღრუბლები კარგად გამოდის; ეს შუქფილტრი აგრეთვე გამოიყენება ჰაერკვამლის მოსასპობად.

რაც უფრო მეტია შუქფილტრის ჯერადობა — სიმუქე, მით უფრო ხანგრძლივი უნდა იყოს ექსპოზიცია გადალების დროს, მაგალითად, შუქფილტრი № 1 — ერთჯერად, შუქფილტრი № 2 — ორჯერად და სხვ. მაშასადამე, ამღენჯერშე უნდა გავაღიდოთ ექსპოზიციაც.

ექსპოზიცია. ვიდრე თვით გადალებას შევუდგებოდეთ, საჭიროა გავეცნოთ ყველაზე ძნელ პროცესს — ექსპოზიციის განსახლებას გადალების წინ.

როგორც ცნობილია, ყოველგვარი გადალების წინ საჭიროა დავაზუსტოთ, რა ექსპოზიციით უნდა მოვაძლინოთ გადალება.

ექსპონირების ხანგრძლივობა ეწიდება იმ დროის სიღიდეს, რომელსაც ფოტოგრაფიული ფირი გადალებისას განიცდის, იმ სი-

ნათლის ზემოქმედებას, რომელიც გადასაღები სიუჟეტიდან მიიმართება და ობიექტივის გავლით ეცემა ფირზე.

ექსპოზიცია დამოკიდებულია გადაღების მრავალ პირობაზე - სწორი ექსპოზიციის განსაზღვრა, მით უმტეს გამოუცდელი ფოტო-მოყვარულისათვის, სიძნელეს წარმოადგენს. ყველაზე უკეთესი ობიექტივი, საუკეთესო ფოტოკამერა, უაღრესად გრძნობიერი ფირი და საუკეთესო მავლინებელიც კი ვერ მოგვცემს კარგ შედეგს, თუ ექსპოზიციის განსაზღვრაში დიდი შეცდომა მოგვივიდა. ხოლო თუ მცირეოდენი გადახრა დაუშვით, იგი მაინცდამაინც თვალსაჩინ თვალენას არ მოახდენს ნეგატივის ხარისხზე და შეიძლება გამოსწორდეს გამოვლინების პროცესში.

მოკლედ გავარჩიოთ ის პირობები და ფაქტორები, რომლებზედაც დამოკიდებულია ექსპოზიციის ხანგრძლიობა ფოტო გადაღების დროს.

უმთავრესი პირობები შემდეგია: 1. განათების სიკაშკაშე; 2. სანეგატივო მასალის გრძნობიერება; 3. ობიექტივის შუქძალა; 4. გადასაღები სიუჟეტის ოპტიკური თვისებები; 5. პაროს გამჭვირებელება; 6. შუქფილტრი.

1. განათების სიკაშკაშე ანუ, სხვანაირად, მანათობლის ძალა და მისი მდებარეობა გადასაღები საგნის მიმართ, ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. რაც უფრო ძლიერი და კაშკაშა სინათლე, მით უფრო ხანმოკლე ექსპოზიციაა საჭირო, და პირიქით, თუ განათება სუსტია, ექსპოზიცია უნდა გავაღიდოთ. მზის სინათლეს მაქსიმალური ძალა მაშინ აქვს, როდესაც მზე ზენიტშია, მაშასადამე, ყველაზე ძლიერი განათება გვექნება გაზაფხულზე და ზაფხულში. შემოღვიმაზე და მით უმტეს ზამთარში, როდესაც მზე დაბლაა, სინათლის ძალა სუსტდება. მზის სინათლე უდიდეს ძალას აღწევს დღის 2–3 საათზე, დილით და საღამო ჟამს კი იგი შედარებით სუსტია.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ ექსპოზიცია უნდა იცვლებოდეს სინათლის ხასიათის მიხედვით, ამასთან გაზაფხულზე და ზაფხულში იგი უფრო მოკლე უნდა იყოს, ვიდრე შემოღვიმაზე და ზამთარში (გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც გადაღების თოვლის ფონზე ვაწარმოებთ).

ექსპოზიციის ხანგრძლიობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აგრეთვე ამა თუ იმ ადგილის გეოგრაფიული მდებარეობა: სამხ-

რეგისი სინათლე უფრო ძლიერია, ვიდრე ჩრდილოეთში; ამას გარდა შუაღლებდე პატი ბევრად უფრო გამჭვირვალეა, ვიდრე სალაშო უაშს.

2. სანეგატივო მასალის გრძნობიერება. რაც უფრო გრძნობიერია სანეგატივო მასალა, მით უფრო ნაკლები უნდა იყოს ექსპოზიცია, და რაც უფრო ნაკლებია სანეგატივო მასალის გრძნობიერება, მით უფრო მეტი უნდა იყოს ექსპოზიცია.

3. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ობიექტივის შუქმალას. გადაღებისას თუ დიაფრაგმის ხვრეტილს დავაპატარავებთ, ექსპოზიცია უნდა გავაღიდოთ. რაც უფრო მცირეა ობიექტივის დიაფრაგმის ხვრეტილი, მით უფრო ნაკლები სინათლე გავა მასში, და პირიქით.

4. ფოტოგრაფიული სიუჟეტის ოპტიკური თვისებებიც დიდ გავლენას ახდენს ექსპოზიციაზე. სანეგატივო მასალის ფერშეგრძნობასთან დაკავშირებით მხედველობაში უნდა მივიღოთ გადასაღები საგნის ფერი. არ გარგა ჩვეულებრივ სანეგატივო მასალაზე ისეთი სიუჟეტების გადაღება, რომლებშიც ჭარბობს სხვადასხვა ფერით შელებილი ფერადი საგნები. ექსპოზიციის გადიდება აქ საქმეს ვერ უშველის. როგორც ვიცით, ამ გარემოებამ გამოიწვია ის, რომ პრაქტიკაში ფართოდ არის შემოღებული ორტოქრომატული და პანქრომატული ფირების ხმარება.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს გადასაღები სიუჟეტის სიკაშკაშეს, მაგალითად, თეთრად შელებილი რაიმე საგანი, ვთქვათ, სახლი, გადაღებისას ნაკლებ ექსპოზიციას მოითხოვს, ვიდრე მუქად შელებილი. ზამთრის ხედის გადაღება წარმოებს უფრო მოკლე ექსპოზიციით, ვიდრე იმავე ხედის გადაღება ზაფხულში, რადგან თოვლი სინათლის მეტად დიდ რაოდენობას არეკლავს, და სხვ.

იმისათვის, რომ უკეთ დავისსომოთ ექსპოზიციის სიდიდეზე მოქმედი ფაქტორები, გავიმეოროთ, და შევაჯამოთ ის, რაც მათ შესახებ ითქვა:

ა) ექსპოზიცია მით უფრო მოკლეა (მცირეა), რაც უფრო დიდია ობიექტივის დიაფრაგმის ხვრეტილი, რაც უფრო კაშკაშად და ინტენსიურია სინათლე, ან რაც უფრო მოახლოებულია შუაღლე, რაც უფრო

გრძნობიერია სანეგატივო მასალა და რაც უფრო  
გაშლილია პეიზაჟი;

ბ) ექსპონტიცია უფრო დიდია, როცა დიაფრაგმის  
ხვრეტილი მცირება, როცა გადაღება წარმოებს დი-  
ლის და საღამოს საათებში, ზამთრის თვეებში (გარ-  
და იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაღება თოვლის  
ფონზე ხდება), რაც უფრო ნაკლებია სანეგატივო  
მასალის გრძნობიერება ბურუსიან ამინდში, ტყე-  
ში, ოთახში და სხვ.

ახლა გავეცნოთ სხვადასხვა ფოტოგრაფიულ გადაღებას. ჩვეუ-  
ლებრივ, მუშაობის პროცესში შემდეგი სახის გადაღებას განასხვა-  
ვებენ.

1. პეიზაჟის გადაღება: ბუნების ესა თუ ის ხედი  
ან შრომის პროცესში კოლმეურნეობაში, ალპინისტების ასვლა  
მწვერვალებზე, ზღვის ხედი და სხვ.; ფონი ყველა ამ გადაღებისა-  
თვის შეიძლება იყოს მინდორი, ველი, ტყე, მთის მწვერვალი, საერ-  
თოდ რაიმე პეიზაჟი.

2. პორტრეტის გადაღება: ინდივიდუალური და ჯგუ-  
ფური პორტრეტი.

3. მასობრივი მოქმედების გადაღება: დემონსტრა-  
ციები, სპორტული შეჯიბრებები, შრომის პროცესში და სხვ.

4. რეპროდუქციის: ე. ი. ბრტყელი საგნების, ნახაზების,  
ნახატების, სურათებისა და ბეჭდვითი ნაწარმოებთა გადაღება.

ყველა აღნიშნული სახის გადაღება შეიძლება ვაწარმოოთ მზის  
სინათლეზე, ზოგიერთი კი — ხელოვნური განათების პირობებში. გა-  
დასაღები ობიექტი შეიძლება იყოს მოძრავი ან უძრავი; ამის მი-  
ხედვით გამოიყენება ფოტოგრაფირების სპეციალური ხერხები. ცალ-  
კებული სახის გადაღებანი შეიძლება კომბინირებულ იქნას ურთი-  
ერთშორის. მაგალითად, პეიზაჟი შეიძლება იყოს მხოლოდ ფონი  
სხვა გადასაღები სიუჟეტისათვის, ვთქვათ, ჯგუფისათვის.

პირველი. პეიზაჟის გადაღება უნდა ვაწარმოოთ სენსიბილი-  
ზებულ ფრეგრძნობიერ სანეგატივო მასალაზე.

ა) გაშლილი პეიზაჟი უნდა გადავიღოთ ორტოქრომატულ სა-  
ნეგატივო მასალაზე ან იზომორტოქრომზე. შუქფილტრები უნდა  
გამოვიყენოთ ღია-ყვითელი № 1, თუ შორეთი დამუშავებული არ

უნდა იქნას, ხოლო შორეთის დეტალების დასამუშავებლად გამო-  
იყენება მუქწვითელი შუქფილტრი № 2 ან № 3; შეიძლება გამო-  
ყენებულ იქნას ნარინჯის ფერიც.

ბ) პეიზაჟი წინა პლანით სასურველია გადავიღოთ იზოროგ-  
რომზე და ორტოქრომზე, თანაც უნდა გამოვიყენოთ ლია ყვითელი  
შუქფილტრი № 1 ან საშუალო № 2.

გ) თუ ვიღებთ ტყეს და სხვადასხვა მწვანე შეფერილობას,  
სურათი უნდა გადავიღოთ იზოროგ-რომზე ან პანქრომზე და  
იზოპანქრომზე; გამოიყენება საშუალო სიმუქის ყვითელი შუქ-  
ფილტრი № 2.

დ) თუ სურათს ვიღებთ შემოდგომაზე, როდესაც ფოთლები  
მჩავალნაირი შეფერილობისაა მწვანედან წითლამდე, უნდა გადა-  
ვიღოთ პანქრომზე ან იზოპანქრომზე; გამოიყენება საშუალო სიმუ-  
ქის შუქფილტრი № 2. ხოლო თუ შემოდგომის ან გაზაფხულის  
პეიზაჟი ძალიან ბურუსიანია, უნდა ვიხმაროთ კონტრასტული  
ფირი.

ე) ზამთრის პეიზაჟი სასურველია გადავიღოთ ორტოქრომზე,  
იზოროგ-რომზე ან პანქრომზე, თანაც უნდა გამოვიყენოთ ლია  
ყვითელი შუქფილტრი № 1 ან საშუალო № 2.

ზეორე შორეთის—მთის ან ყოველგვარი შორეული ადგი-  
ლის გადაღება, როცა ჰაერკვამლი გვაქვს, უნდა ვაწარმოოთ პან-  
ქრომზე ან იზოპანქრომზე, თანაც გამოვიყენოთ მუქი შუქფილტრი  
№ 3 ან ნარინჯისფერი შუქფილტრი; შეიძლება გამოვიყენოთ სა-  
შუალო სიმუქის წითელი შუქფილტრი. უმჯობესია ასეთ შემთხვე-  
ვაში ვიხმაროთ გამუქებული შუქფილტრი. მხოლოდ ამ პირობების  
დაცვით შევძლებთ გადაღებული შორეული ადგილების კარგად  
დამუშავებას და ჰაერკვამლის საზიანო გავლენის სავსებით გაქარ-  
წყლებას.

მთიანი ადგილების გადაღება, თუ ჰაერკვამლი არ არის ან  
უმნიშვნელოა (ცოტაოდენი ჰაერკვამლი მხატვრული მიზნით სასურ-  
ველია), წარმოებს მცირე კონტრასტულ ორტოქრომატულ ან პან-  
ქრომატულ სანეგატივო მასალაზე, თანაც უნდა გამოვიყენოთ სუს-  
ტი ან საშუალო სიმუქის ყვითელი შუქფილტრი № 1, № 2.

ზესამე. ზღვის გადაღება უმჯობესია პანქრომზე ან იზოპან-  
ქრომზე, ყვითელი შუქფილტრით № 2, № 3, რის მეოხებითაც  
ვაღწევთ ცის გამოყოფას წყლისაგან.

მესუთე. პირტრეტი და ჯგუფი უნდა გადავიღოთ მასალ-  
გრძნობიერ, მაგრამ მცირე კონტრატულ სანეგატივო მასალაზე.  
ამ მიზნით საუკეთესო მასალად უნდა ჩაითვალოს პანქრომი და  
იზოპანქრომი, № 1, № 2 ღია-ყვითელი შუქფილტრების გამოყენე-  
ბით, თუ გადაღება გარეთ ხდება.

მეექვსე. სასპორტო გადაღებისათვის (სწრაფებადაღება) იხ-  
მარება ორტოქტომი, პანქრომი, სანეგატივო მაღალგრძნობიერ  
მასალაზე, № 1 ან 2 ღია შუქფილტრის გამოყენებით.

მე შვილე. რეპროდუქცია. როცა გვინდა ნახატების, ტუშიანი სურათების, ნაბეჭდი ტექსტის და სხვ. გადაღება, უნდა გამოვიყენოთ კონტრასტული სარეპროდუქციო სანეგატივო მასალა. ფერადი სურათების რეპროდუქცია წარმოებს პანგრომ—იზოპან-გრომჩე. თუ გადაღება გარეთ ხდება, უნდა ვიხმაროთ ყვითელი შუქუილტრი № 1, № 2 ან № 3.

\* \* \*

სხვადასხვა ფოტოგრაფიული გადაღება. ჩვენს საბჭოთა ფოტომოცვალულს მარტო ის როდი მოეთხოვება, რომ ტექნიკურად კარგად შესრულებული სურათი დამზადოს; მან უნდა იცოდეს აგრძელებული თემების შერჩევა თავისი სურათებისათვის. სურათი, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს შინაარსიანი, ასახავდეს ჩვენი სოციალისტური ქვეყნის დიად მშენებლობას.

ერთ-ერთი ძირითადი წესი, რომელსაც ფოტომოუგარულმა უნდა მისდიოს, ეს არის ის, რომ ერიდოს ყოველივე იმას, რასაც შეუძლია სურათის არაბუნებრიობის შთაბეჭდილება შექმნას.

განვიხილოთ თანამიმდევრობით სხვადასხვა. შემთხვევა, რაც ფოტომოყვარულს შეიძლება თავის პრაქტიკულ მუშაობაში შეჩვენდეს.

პერიზაჟის გადაღება ფოტოგრაფიულ-ბის ერთ-ერთი ყველაზე მარტივი სახეა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფოტომოწვანეულმა სათანადო ყურადღება უნდა გამოიჩინოს ამ გადაღების მიმართ და დაიცვას მისი წესები.

Յցո՞չայօս ցածրալցենք դրու ըստ հռով տամաშոնք ոմ ազգութիւնու արհեցա, սակածապ ցածրալցենք պահանջունու առաջակա առա մարդու պահանջունու ծանրենք ունենանք ու նախունու, հռմելու

საც ხედავს, არამედ უნდა გადაიღოს ისე, ორმ ეს გადალება შეძლებისდაგვარად წარმოადგენდეს დამთავრებულ სურათს, რომ იგი საინტერესო იყოს თავისი შინაარსით, ახასიათებდეს ამა თუ იმ ადგილს, მნახველზე ახდენდეს მთლიან შთაბეჭდილებას, კი არ ფანტაზიდეს მის ყურადღებას, არამედ ამახვილებდეს მას სურათის განსაზღვრულ მთავარ ნაწილზე.

რას გულისხმობს პეიზაჟი? პეიზაჟი არის მრავალფეროვანი ბუნების ტიპიური ხედი. პეიზაჟის სიმშევნიერე თვით ბუნების მიერ შექმნილი სისადავეა. სისადავე და ბუნებრიობა მხატვრული ნაწარმოების მთავარი ფაქტორებია. პეიზაჟი — ეს არის უმთავრესად ბუნების სურათი სოფლის ცხოვრების ფონზე, ლამპზი თანამედროვე სოფლები, ველები, ტყეები, მდინარეები და სხვ. პეიზაჟი მრავალფეროვანია და მისი ვარიანტებიც ურიცხვია. პეიზაჟები შეიძლება დავყოთ ვაკის. მთის, ზღვისა და ტყის პეიზაჟებად. რა შეიძლება იყოს იმათხე უკეთესი, როდესაც პეიზაჟის კარგ ფონზე გადავილებთ კოლმეურნეთა შრომის პროცესებს, ალპინისტების ასვლას მთაზე და სხვ.

თვითეული საპეიზაჟო გადალება წარმოადგენს მართკუთხს, რომელზედაც პეიზაჟი გადალებულია ან პორიზანტალურ ან ვერტიკალურ მდგომარეობაში. მეტწილად პირველ მდგომარეობას იყენებენ. თუ სურათზე მაღალი ხები და მთები უნდა გამოისახოთ, უფრო ხელსაყრელია მეორე მდგომარეობა. თვითეულ სურათზე განასხვავებენ წინა, შუა და უკანა პლანს. თვითეულ მხატვრულ ნაწარმოებში ცხადად უნდა აისახოს მხოლოდ ერთი რომელიმე მთავარი პლანი — მოტივი, რომელშიაც გამოიხატება ერთი აზრი, ერთი მოქმედება. ყოველივე დანარჩენი, რაც სურათს შეადგენს, საესებით ამ მთავარს უნდა ემორჩილებოდეს.

მთავარი პლანი — მოტივი მაშინვე უნდა ეცეს თვალში მნახველს და მთელი მისი ყურადღება სწორედ მან უნდა მიიპყროს. თუ მხატვრის სურათში მთავარი პლანის — მოტივის ქებნა გვიხდება და თვით სურათი ამაზე არაფერს გვეუბნება, ასეთი სურათი მხატვრულ ღირსებას მოქლებულია. იგივე უნდა ვთქვათ საპეიზაჟო და საერთოდ ყველა სხვა გადალებაზე. ყველა გადალებაში მთავარი პლანი — მოტივი უნდა იყოს პირველი ან მეორე პლანი, კომპოზიციურად სწორად აგებული ხედი; ფოკუსი დაყენებულ უნდა იქნას მთავარ პლანზე, ე. ი პირველ ან მეორე პლანზე, იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი იქნება მთავარი.

უკანა პლანი ყოველთვის ფონს წარმოადგენს; ამიტომ იგი  
შეიძლება წინა პლანზე ნაკლებად მკვეთრ (ფოკუსში) იყოს.

საპეიზაურ ხედის კარგი განშეყობილების შესაქმნელად მნიშვ-  
ნელოვანია აგრეთვე განათება, წლის დრო (გაზაფხული, ზაფხული,  
შემოდგომა, ზამთარი).

საპეიზაურ სურათის განშეყობილების შექმნაში არა მცირე  
როლს ასრულებს კა. ცისა და განათების სხვადასხვა მდგომარეო-  
ბაში ერთი და იგივე კადრი შეიძლება ისე შეიცვალოს, რომ მას  
ვერც კი გამოვიცნობთ.

სურათზე ცარიელი ადგილები არ უნდა იყოს. დიდ მოშევნი-  
ლობას ქმნის ცის ფართო ზოლი, თუ მასზე ღრუბლები არ არის.  
სურათის ჭვედა ნაწილიც სავსე უნდა იყოს, მაგრამ არა გადა-  
ტვირთული.

სურათზე ბევრი საგანი არ უნდა იყოს მიყრილ-მოყრილი,—  
ეს ფანტაზის მნახველის ყურადღებას.

საპეიზაურ გადაღებაში და საერთოდ ყველა ფოტოგრაფიულ  
გადაღებაში დიდ როლს თამაშობს განათება.

ერთი და იგივე ხედი წლის სხვადასხვა დროს და დღის სხვა-  
დისხვა საათებშიაც კი, ე. ი. დილით, დღისით და საღამოთი, ძა-  
ლიან იცვლება. გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი  
გვაძლევს დამოუკიდებელ მოტივებს.

პეიზაურის გადაღება შეიძლება როგორც მზის კაშკაშა სინათ-  
ლეზე, ისე გაფანტულ სინათლეზეც.

მზის ძლიერი სინათლე გვაძლევს მკვეთრ ჩრდილებს და მკვე-  
თრად გამოსახავს კონტრასტებს; გაფანტული მზის შუქი ნაზად  
ანათებს და კონტრასტებსაც უფრო ნაზი იერით გადმოგვცემს.  
ხოლო თუ სურათს ბურუსიან ამინდში გადავიღებთ, იგი მონოტო-  
ნური, მოდუნებული გამოვა.

პეიზაურის გადაღების დროს ზედმეტად კაშკაშა განათებას შე-  
ძლებისდავგარად უნდა ვერიდოთ, რადგან ის გვაძლევს მეტად  
მკვეთრ კონტრასტს შუქსა და ჩრდილს შორის. ამიტომ სურათი  
არ უნდა გადავიღოთ ზაფხულში შუადლისას, როდესაც მზე ზენიტ-  
შია და ძლიერ კაშკაშა სინათლეს იძლევა; უმჯობესია პეიზაურის  
სურათი გადავიღოთ დილით ან საღამო ფამს, როცა სინათლე

უფრო ობილი და ნაზია. კარგ პეიზაჟს ვლებულობთ მაშინაც, რო-  
დესაც მზეს წაფარებული აქვს გამჭვირვალე ლრუბლები.

მზის ყველაზე ხელსაყრელი მღვმარეობა პეიზაჟის გადალების  
დროს გვაქვს. მაშინ, როცა ის გვერდიდან გვინათებს (ეგრეთ  
წილებული გვერდითი განათება); ასეთი განათება პეიზაჟს რელი-  
ეფურობას ანიჭებს.

პეიზაჟის გადალების დროს არ უნდა ვისარგებლოთ პირდაპი-  
რი განათებით (ე. ი. წინა განათებით, როდესაც მზის სინათლე  
პირდაპირ ეცემა გადასალებ ობიექტს); ეს განათება ერთფეროვა-  
ნია, საგნები ბრტყელი გამოდის, მათ არ ექნებათ სათანადო რე-  
ლიეფური გამოსახულება, ისინი მოკლებული იქნებიან გამომხატვე-  
ლობას ჩრდილების უქონლობის გამო.

კარგ მხატვრულ შედეგს იძლევა, აგრეთვე, როდესაც პეიზაჟს  
ვიღებთ მზის პირდაპირი განათებით (რასაც პრაქტიკაში უწოდე-  
ბენ კონტრაჟურს — კონტრაჟურულ განათებას. იხ. სურ. 1). თუ  
კადრის შერჩევა გვეხერხება, სინათლის ასეთი მიმართულება თა-  
ვისებურ მხატვრულ ეფექტს გვაძლევს. უნდა აღინიშნოს, რომ  
კონტრაჟურის დროს უბჯობესია გადალებისას ექსპოზიცია ოდნავ  
ხანდაკლებული იყოს. კარგი კონტრაჟურული გადალება შეიძლება  
მივიღოთ აგრეთვე ტყეში, ხეივანში ან ბაღში, სადაც ფოთლებში  
შექრილი მზის სხივი ეფექტურ ჩრდილებს ქმნის. პერსპექტივის  
ეფექტი ძლიერდება, როდესაც მზე დაბლაა, ამიტომ ზაფხულში  
გადალების საუკეთესო დროა დილა და საღამო.

პორტრეტების გადალება. თუ ფოტომოვგარულს სულ  
ცოტაოდენი მხატვრული გემოვნება მაინც აქვს, თუ მას შეუთვი-  
სებია ფოტოგრაფიული ტექნიკა, თუ იგი დაკირვებულია და შე-  
უძლია შენიშნოს გადასალები პირის დამახასიათებელი ნიშნები,  
გაამახვილოს ეს ნიშნები კარგად შერჩეული ბუნებრივი პოზით  
და სათანადო განათებით, — იგი მოახერხებს შექმნას კარგი პორ-  
ტრეტი, რომელიც გაგვაკირვებს თავისი ბუნებრიობით და სრული  
მსგავსებით. არაბუნებრივი პოზა, სახის დაჭიმული გამომეტყველე-  
ბა, საერთოდ, მთელი ნაბუღი იმას გვეუბნება, რომ ადამიანი ძა-  
ლიან მომზადებულა გადასალებად. აი სწორედ ეს მომზადება არ  
უნდა ჩანდეს კარგ პორტრეტში. პორტრეტში ბუნებრიობის მილ-  
წევა ადვილი საქმე არ არის, და ძალიან ხშირად გვხვდება ხელოვ-  
ნურობა, არა ბუნებრიობა, ულამაზო პოზირება, რაც მეტად უარ-  
ყოფით შთაბეჭდილებას ახდენს.

ესა თუ ის გამოსახულება სინათლის საშუალებით. ტყუილად  
კი არ უწოდებენ სურათის გადაღებას „ფოტოგრაფიას“, ე. ი.  
შუქით წერას.

სინათლის ძირითადი სახეები ფოტოგადაღებაში შემდეგია:  
პირდაპირი სინათლე გადასაღებ ობიექტზე ეცემა ფოტოკამე-  
რის მხრიდან და ძირითად სინათლედ ითვლება.

პირდაპირი სინათლე გადასაღებ ობიექტზე მიიმართება ერთი  
ან ორივე მხრიდან, გვერდიდან.

კონტრაქტრი სინათლე მიიმართება ფოტოკამერის მობირდა-  
პირე მხრიდან.

ზედა სინათლეს ამჟამად ალარ იყენებენ სანეგატივო მასალის  
დიდი გრძენობიერების გამო. პირტრეტის განათების დროს ძირი-  
თადად უნდა ჩაითვალოს პირდაპირი სინათლე, ანუ სინათლის  
წყარო. ძირითადი პირდაპირი სინათლე შეიძლება გადასაღებ  
ობიექტს მივაშუქოთ სხვადასხვა მიმართულებიდან: ოდნავ გვერ-  
დიდან, პირდაპირ ან ოდნავ ზემოდან.

თუ მარტო ძირითადი სინათლე გვაქვს პირდაპირ მიმართუ-  
ლი, ჩრდილების უქონლობის გამო შეიქმნება ბრტყელი გამოსახუ-  
ლების ეფექტი—სახის დანაოჭება და დაღარვა თითქმის შემჩ-  
ნეველი გახდება. ვთქვაო, გვინდა გადავილოთ დანაოჭებული  
სახე. პირდაპირი სინათლის გაძლიერება განსაზღვრულ ფარგლებ-  
ში შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს, რაღვან სახე უფრო სათუ-  
თი გამოვა, მაგრამ ეს მაინცდამაინც ჭარბად არ უნდა გამოვიყე-  
ნოთ მოხუკი სახის გადაღების დროს, რაღვან ნაოჭი დამახასია-  
თებელია ხნიერი ასაკისათვის, და თუ ასეთი ნაოჭები მეტისმეტად  
დავმალეთ, ამით სიმართლეს დავშორდებით. სხვა საქმეა, როდე-  
საც ახალგაზრდა სახის გადაღება გვინდა.

მაინც ყველაზე გავრცელებულია ძირითადი სინათლის წარ-  
მართვა წინიდან, მაგრამ ოდნავ ზემოთ, ოდნავ მარჯვნივ ან მარცხ-  
ნივ. ეს მიმართულებები შეესაბამება მზის ბუნებრივი სინათლის  
მიმართულებებს და ამიტომ სახეს ბუნებრივ გამომეტყველებას აძ-  
ლებს. ასეთი განათებისას სახე შეიძლება გავაშუქოთ მარტო წინა  
რეფლექტორით და, თუ საჭირო იქნება, მეორე რეფლექტორით  
შევარბილოთ იგი.

ფოტოგრაფიის პრაქტიკაში იხმარება ტერმინი „ნაზი შუქი“ და „მკვეთრი შუქი“. ტექნიკური თვალსაზრისით ორივე შუქი შეიძლება შემდეგნაირად განვსაზღვროთ: ნაზი შუქი — ეს არის ისეთი ხასიათის განათება, რომლის დროსაც არა გვაქვს მკვეთრი ჩრდილები და ძლიერ განათებული ადგილებიდან გაუნათებელი ადგილებზე გადასვლა ძალიან თანაბარი და თანდათანობითია. პორტრეტის განათებისას ნაზ (ანუ რბილ) შუქს ვაღწევთ ჭინა მცირე შუქით, როდესაც რეფლექტორი გადასალები სახიდან მოშორებით მდებარეობს; ამ გზით იქმნება ნაზი შუქი.

მკვეთრ შუქს ახასიათებს მკვეთრი ჩრდილები და მეტისმეტი დიაფრაგმირება.

პორტრეტების გადაღება სრულიად გაშლილ ადგილას, როცა მზე უშუალოდ ახათებს, სასურველი არაა, რადგან გამოსახულება მეტისმეტად კონტრასტული გამოდის. ამიტომ უფრო კარგია ვისარგებლოთ გაფანტული შუქით, როცა მზე ღრუბლებს მოფარებულია, ან და როცა მისი სხივები არ ეცემა გადასაღებ ობიექტს, ამ შემთხვევაში სახეს. მაშასადამე, გადაღება უნდა ვაწარმოოთ ჩრდილში. ასეთ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ თეთრი ტილოს ექრანი, მცირე ზომისა —  $75 \times 75$  სანტიმეტრი ან ცოტა უფრო ნაკლები თუ მეტი, რომელიც სახეს ცოტად თუ ბევრად გააშუქებს. გადაღების ორივე შემთხვევაში, ე. ი. შენობაში და გარეთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ფონი — უკანა პლანი.

ავილოთ ჯუფი, რომელიც გადასაღებად დავაყენეთ დაახლოებით 4—6 მეტრის მანძილზე ფონიდან. გადაღების ყველა შემთხვევაში, გარეთ იქნება ეს თუ შენობაში, სადაც ფონს უკანა კედელი ან რაიმე სხვა საგანი წარმოადგენა, მხედველობაში უნდა ვერცხლიოთ, რომ, ერთი მხრივ, ფონი არ უნდა იყოს მთლად მონოტონური, სრულიად უსურათო და, მეორე მხრივ, იგი არ უნდა იყოს მყვირალი, მეტისმეტად აჭრელებული, რაც მნახველის ყურადღებას მოსწყვეტს მთავარი ობიექტისაგან, ე. ი. ჯგუფისაგან. ამას გარდა ფონი მაინცდამაინც მკვეთრი არ უნდა იყოს.

როდესაც სურათს ოთახში ვიღებთ, ფონად შეიძლება გამოვიყენოთ სუფთა კედელი, ზეწარი, ფარდა ან რაიმე სხვა საგანო.

შეგვიძლია გავარჩიოთ კიდევ ძირითადი სინათლის და, საერთოდ, განათების მიმართულების მთელი რიგი შემთხვევები, მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ არავითარი რეცეპტი ამ

საქმეში არ არსებობს,—ყოველი ადამიანის პორტრეტი გაშუქებულ უნდა იქნას ამ ადამიანის ინდივიდუალური თვისებების მიხედვით და კონკრეტული ამოცანის შესაბამისად, ამასთან თვითეულ ამოცანას ყველა ფოტომოყვარული თავისებურად წყვეტს.

სწრაფი გადაღება. სხვადასხვა სახის გადაღებათა შორის მცირე აღგილი როდი უჭირავს იმ საგნების გადაღებას, რომლებიც გადაღების მომენტში მოძრაობენ. ასეთ გადაღებათა რიცხვს მიეკუთვნება სასპორტო შეჯიბრების, ქუჩაში სხვადასხვა მოძრაობის, მიმავალი მატარებლებისა და სხვ. გადაღება.

მოძრავი საგნების გადაღების ძირითადი თავისებურება ისაა, რომ გადაღების შემდეგ ნეგატივი არ უნდა იყოს არამკვეთრი, განძრეული.

თანამედროვე შუქმლიერი ოპტიკისა (ობიექტივისა) და სანეგატივი მასალის მაღალი გრძნობიერების მეობებით, შესაძლებლობა გვაქვს მოვახდინოთ ზემოაღნიშნული სიუჟეტების სწრაფი გადაღება დროის უმცირეს მონაკვეთში. ასეთი გადაღების დროს ექსპოზიცია იმდენად მოკლე უნდა იყოს, რომ გამოსახულების თვითეული ნაწილი ნეგატივზე მკვეთრად გამოვიდეს (იხ. სურ. 3). აქედან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ რაც უფრო მეტია საგნის სიჩქარე და რაც უფრო ახლოსაა საგანი ფოტოკამერასთან, მით უფრო მოკლე უნდა იყოს ექსპოზიცია.

სწრაფი გადაღების დროს, გარდა შუქმლიერი ობიექტივისა (ფოტომოყვარულთა თითქმის ყველა კამერა გამოსადეგია სწრაფი გადაღებისათვის), საჭიროა აგრეთვე მაღალი გრძნობიერების მქონე ნეგატივი.

მოძრავი საგნების გადაღებისას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ობიექტივის საკეტს.


ექსპოზიციის ხანგრძლიობის დასაღენად გამოუცდელი ფოტომოყვარულისათვის სასარგებლო იქნება შემდეგი დაახლოებითი ცხრილი, რომელშიც ნაჩვენებია სხვადასხვა გადასაღები ობიექტის მოძრაობის სიჩქარე.

ჭამში გადის  
მეტრობით

1. ქვეითი კაცი, რომელიც გადის 4 კილომეტრს საათში 1;
2. კაცი, რომელიც ჩქარა მიდის . . . . . 4—5;
3. მოცურავე . . . . . . . . . . . 1—1 $\frac{1}{2}$ ;




№ 3. სწრაფი გადალება. გადალებულია „ფედი“-თ, შემდგომ გადიდებულია; ფირი პანქრომი, შეტნობიარობა 1,500°, ეჭსპონიცა 1/500, დიაფრაგმა 12, ყვითე-ლი შუშეფილტრი № 1, გადალებულია მზის კაშეაშა სინათლეზე.



№ 4. କଣଙ୍ଗରପଲ୍ଲୀରେ ଖୈସିଲାଣିକିରା ଗୁ-  
ରାଜ୍ୟପାତ୍ରରେ ଦ୍ୱାରା ବନ୍ଦରପାଲ୍ଲୀରୁବାର  
ଦ୍ୱାରାଲ୍ପାଇଲା ଫରାରୀ ରୁହାରୁଗା ଏହା-  
ଦ୍ୱାରା କିମ୍ବା, ରମେ ରମ୍ଭାରୁଗା ଏବା ଏୟିସି  
ଫରାରୀରୁବାସ୍ତ୍ରରୁ ଶିଥିପା ଦ୍ୱାରା କିମ୍ବାଲ୍ଲ  
ପିରଠିଲା, ରୁହାରୁଗା ପିରମରାଙ୍ଗରୁଗା,  
ଏୟିବେ ଦିନରେଣ୍ଡିଂ.



№ 5. କଣଙ୍ଗରପଲ୍ଲୀରେ ଖୈସିଲାଣିକିରା ଗୁ-  
ରାଜ୍ୟପାତ୍ରରେ ଦ୍ୱାରା ବନ୍ଦରପାଲ୍ଲୀରୁବାର  
ଦ୍ୱାରାଲ୍ପାଇଲା ଫରାରୀ ରୁହାରୁଗା; ଏହାରୁଗାରେ  
କିମ୍ବା ରମ୍ଭାରୁଗା; ଏହାରୁଗାରେ ବନ୍ଦରପାଲ୍ଲୀରୁବାର  
ଦ୍ୱାରାଲ୍ପାଇଲା ଫରାରୀ ରୁହାରୁଗା, କିମ୍ବାଲ୍ଲୀରୁବାର  
ଦ୍ୱାରାଲ୍ପାଇଲା ଫରାରୀ ରୁହାରୁଗା.



№ 6. ନାନାମହାଲ୍ଲୀରୁବାର ଖୈସିଲାଣିକିରାଦ୍ୱାରା  
ଦ୍ୱାରା ବନ୍ଦରପାଲ୍ଲୀରୁବାର ଗୁରାନ୍ତରୁକିର୍ତ୍ତୁ-  
ଲୀର ରୁହାରୁଗା, ବିଲନ୍ଦୀରୁ କିମ୍ବାଲ୍ଲୀରୁବାର  
ଫରାରୀରୁବାସ୍ତ୍ରରୁ, ରୁହାରୁଗା ଏବା  
ଗୁରା ଏବା କିମ୍ବା ରୁହାରୁଗା, ବିନଦୀ  
ଏବା ଏୟିବେ.



- |   |        |
|---|--------|
| 4. ველოსიპედისტი . . . . .                      | 6—12;  |
| 5. მოტოციკლისტი . . . . .                       | 20—60; |
| 6. ცხენი ნაბიჯით (6 კილომეტრს საათში) . . . . . | 1—2;   |
| 7. ცხენი ჭენებით . . . . .                      | 10—15; |
| 8. მოთამაშე ბავშვი . . . . .                    | 2—5;   |
| 9. ზღვის ტალღა . . . . .                        | 7—12;  |
| 10. ნახტომი თხილამურებით . . . . .              | 12—14; |

ფორმოყარულინა შეიძლება აგრეთვე იხელმძღვანელოს შემდეგი ცხრილით, რომელიც გვიჩვენებს, ოუ რა სიჩქარით (ექსპოზიციით) შეიძლება გადავილოთ სხვადასხვა მოძრავი საგანი (მოყანილი ცხრილი მხოლოდ საორიენტაციო დი სანიმუშოა; ის არ უნდა მივიღოთ როგორც ურყევი და უცვლელი რამ, რადგან, როგორც ცნობილია, უნდა ვიცოდეთ, რომელი სანეგატივე მასალით ხდება გადალება, როგორი თბიერებით, რა დაიფრაგმით, განათების როგორ პირობებში და სხვ.).

ექსპოზიციის შესაძლებელი დახლოებითი  
ხანგრძლიობა სწრაფი გადაღების დროს

გადაღების სიუჟეტი

მანძილი მეტრობით

၁၂၈

ფოტოკამერიდან გა-

ଫାସାଲ୍‌ଗ୍ରେଡ ନେଟ୍‌ଵ୍ୟକ୍ତିମଦ୍ଦୀ

მოთამაშე ბაგშვი . . . . .	5	1/100
ბაგშვი, ომელიც იცინის . . . .	2	1/50
ცხენოსანის გადახტომა დაბრკოლებაზე	6	1/200
მოძრაობა ქუჩაში . . . . .	10	1/100
გადახტომა თოკზე . . . . .	4	1/500

ფოტომოყვარულმა გადასაღები ობიექტის მოძრაობა უნდა შეახსოს განათების პირობებთან, სანეგატივო მასალის გრძნობი-ერებასთან და იპოვოს მათი ისეთი თანაფარდობა, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს მიიღოს დამაკაუფილებელი შედეგები. აქ შეიძლება ზოგჯერ აუცილებელი გახდეს გადაღების წერტილის შეცვლა, მცირე კუთხებით გადაღება, რათა შესაძლებლობა გვქონ-დეს გამოვიყენოთ უფრო ხანგრძლივი ექსპოზიციები, ხოლო ზოგ-ჯერ (თუ ამინდი ხელს არ გვიშებოდს — ბურუსიან დღეს, წვიმაში)



შეიძლება უარი ვთქვათ დიაფრაგმის. მცირე ხერეტილისა და შუქ-  
ფილტრის გამოყენებაზე.

ყურადღების ლირსია ფოკუსზე დაყენების საკითხიც. გასაგე-  
ბია, რომ სწრაფი გადაღების დროს ფოკუსზე დაყენება ხდება  
მხოლოდ და მხოლოდ სკალის დანაყოფების მიხედვით; მქრქალი  
მინა ასეთი გადაღების დროს უსარგებლოა. იმისათვის, რომ გადა-  
საღები ობიექტი ფოკუსში აღმოჩნდეს, წინასწარ ნაბიჯით უნდა  
გამოვითვალოთ ან თვალდათვალ განვისაზღვროთ მანძილი გადასა-  
ლებ ობიექტამდე, ანდა დავაყენოთ ფოკუსი რაიმე უძრავი საგნის  
მიხედვით (ბოძი, ქვა, ხე და სხვ.), რომლის მახლობლადც უნდა  
გაიაროს გადაღების ობიექტია. როდესაც, ვთქვათ, მორბენალი,  
დანიშნულ ადგილს მიაღწევს, ობიექტივის საკეტი უნდა დავუშვათ  
და მოვახდინოთ გადაღება. მაგრამ ეს უნდა გავაკეთოთ არა ზუს-  
ტად იმ მომენტში, როდესაც ობიექტი დანიშნულ წერტილში გა-  
დის, არამედ ოდნავ ადრე, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის  
მოასწრებს ცოტათი წინ წასვლას და ფოკუსიდან, ზოგჯერ კი კად-  
რიდანაც გამოსვლას, განსაკუთრებით მაშინ, თუ გადაღება ახლო  
მანძილზე წარმოებს.

\* \*

ა ხ ლ ა გავეცნოთ სანეგატივო პროცესს. გადაღების  
შემდეგ რომ ქისიდან ბნელ ოთახში ფირი ამოვილოთ, მასზე ვერა-  
ვითარ გამოსახულებას ვერ შევამჩნევთ. ფირი გარეგნულად ისეთი  
დარჩება, როგორიც გადაღებამდე იყო, და რამდენ ხანსაც უნდა  
გავაჩეროთ იგი, გამოსახულება მასზე მაინც არ გაჩნდება.

მაგრამ საქმარისია ის დავამუშაოთ განსაზღვრულ ქიმიურ  
ნივთიერებათა ხსნარში, რომ მასზე გამოჩნდეს ფოტოგრაფიული  
სიუჟეტი. აქედან შეიძლება ის დასკვნა გავაკეთოთ, რომ სინათლე  
ექსპოზიციის მომენტში ნეგატივზე თვალისთვის შეუმჩნევლად  
მოქმედებს. და მართლაც, ვერცხლის ბრომიდი, რომელსაც ფირის  
შეუშემგრძნები ფენა შეიცავს, სინათლის მეტი ზემოქმედებით  
მეტად იშლება, ხოლო იმ ადგილებში, სადაც სინათლემ სუსტად  
იმოქმედა ნაკლებად.

ამგვარად, ფირის იმ ადგილებში, რომლებიც გადასაღები საგ-  
ნის ბნელ ნაწილებს შეესაბამება, ვერცხლის ბრომიდი უფრო ნაკ-  
ლებ დაიშლება, ვიღრე იმ ადგილებში, რომლებიც ამ საგნის ნა-  
თელ ნაწილებს შეესაბამება.

ასეთ უხილავ გამოსახულებას უწოდებენ ფარულ, ე. ი. უჩინარ გამოსახულებას.

ქიმიური ნივთიერებათა ხსნარს, რომლის საშუალებითაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეგვიძლია ფარული გამოსახულება ხილული გავხადოთ, ეწოდება მავლინებელი ხსნარი ან, მოკლედ, მავლინებელი, ხოლო თვით ხილული გამოსახულების მიღების პროცესს — გამოვლინება.

გამოვლინებულ ფირს ეწოდება ნეგატივი, ხოლო მასზე გამოჩენილი გამოსახულებას — ნეგატივური გამოსახულება.

ნეგატივი არის გამოსახულება, სადაც ნათელი და ბნელი ადგილები შებრუნებითაა განაწილებული. გადასაღები საგნის ნათელი ადგილები ნეგატივზე ბნელი გამოვვივა, თითქმის შავი; ამ ადგილებს შუქები ეწოდება. გადასაღები საგნის ყველაზე ბნელი ნაწილები ნეგატივზე ნათელი, თითქმის გამჭვირვალე გამოვა; ამ ადგილებს ეწოდება ჩრდილები.

ფირის მთელი აღწერილი დამუშავება შეაღგენს ნეგატივის პროცესს, რომელიც ოთხ თანამიმდევარ სტადიად იყოფა: 1) გამოვლინება, 2) გამყარება, 3) გარეცხვა და 4) გაშრობა.

გამოვლინება უნდა ვაწარმოოთ ბნელ ოთახში (ლაბორატორიაში), წითელ სინათლეზე. წითელ სინათლეზე შეიძლება გამოვავლინოთ მხოლოდ ჩვეულებრივი და ორტოქრომატული ფირი, ხოლო პანქრომატული და იზოპანქრომატული ფირის გამოვლინება ხდება აბსოლუტურ სიბნელეში. ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავიხსომოთ, რადგან გადაღებული ფირი ჯერ კიდევ გრძნობიარე რჩება სინათლისადმი. გამოვლინების პროცესი მეტისმეტად საპასუხისმგებლო და თანაც რთული პროცესია. არასწორი გამოვლინებით შეიძლება სავსებით გავაფუჭოთ მშვენიერად გადაღებული კარგი სიუქეტი.

მოკლედ გავეცნოთ ძირითად ფოტოგრაფიულ, ყველაზე უფრო გავრცელებულ ქიმიურ ნივთიერებებს, რომელთაც ფოტოგრაფიული ხსნარების შესაღენად ხმარობენ.

რა თქმა უნდა, პირველ ხანებში, შეცდომის და აქედან გამომდინარე მარცხის თავიდან ასაცილებლად, ფოტომოყვარულმა-უმჯობესია იმუშაოს ნაყიდი მზა მავლინებლით, ხოლო როდესაც იგი გამოვლინების ძირითად ტექნიკურ ხერხებს აითვისებს, უკე-

თესი იქნება დაუყოვნებლივ გადავიდეს მის მიერვე შედგენილ  
ჲსნარჩებ.

მავლინებელ ნივთიერებებს ეკუთვნის შემდეგი ქიმიური ნივ-  
თიერებანი: მეთოლი, ჰიდროქინონი, პარამინოფენოლი, გლიცინი  
და სხვ. მეთოლი — მცირე ნემსისებური კრისტალებია; ადვილად  
ისნება წყალში. ჰიდროქინონი — თეთრი, ზოგჯერ მოცის-  
ფრო, თხელი, მოგრძო ნემსისებური კრისტალებია; ადვილად ის-  
ნება წყალსა და სპირტში. პარამინოფენოლი — წვრილი  
მომწვანო პრიზმატული კრისტალებია. გლიცინი — თეთრი კრის-  
ტალური ფხვნილია.

მაკონსერვი რებელ ნივთიერებებს ეკუთვნის: ნატრიუ-  
მის სულფიტი და კალიუმის მეტაბისულფიტი (უფრო ხშირად ნატ-  
რიუმის სულფიტს ხმარობენ).

ნატრიუმის სულფიტი ანუ, მოკლედ, სულფიტი ორი სახისაა:  
უწყლო, თეთრი ფხვნილი და კრისტალური — მოზრდილი უფერუ-  
ლი კრისტალები. სულფიტი ადვილად ისნება წყალში. იგი შეი-  
ცავს საკმაოდ ბევრ სოდას და გოგირდმებავა ნატრიუმს. ფოტოგ-  
რაფიაში იხმარება უპირატესად სულფა (საანალიზო) სულფიტი,  
განსაკუთრებით წვრილმარცვლოვანი; ის იხმარება გამოვლინები-  
სათვის.

მაკტივებელი ნივთიერებანი აჩქარებენ გამოვლი-  
ნების პროცესს. ამ ნივთიერებებში შედის: 1) კალიუმის კარბონა-  
ტი თეთრი კრისტალისებური ფხვნილი; წყალში კარგად ისნება;  
2) ნატრიუმის კარბონატი (ე. ი. სოდა); იგი ორი სახისაა: უწყლო,  
რომელიც თეთრ ფხვნილს წარმოადგენს. ფოტოგრაფიაში იხმა-  
რება სულფა ნატრიუმის კარბონატი.

ბინდსაჭინაალდეგო ნივთიერებათაგან უმთავ-  
რებად იხმარება ბრომეკალიუმი — თეთრი კუბური კრისტალები,  
რომლებიც კარგად ისნება წყალში.

ახლა გავეცნოთ მავლინებელთა შედგენას რეცეპტების მი-  
ხედვით.

სსნარების შესადგენი ქიმიური ნივთიერებანი ახალი და სუფ-  
თა უნდა იყოს. მავლინებლისათვის განკუთვნილი ქიმიური ნივთი-  
ერება უნდა შევინახოთ კარგად თავდაცულ მუქ შუშებში, წინაა-  
ღმდებ შემთხვევაში იგი შეიძლება ჰაერისა და სინათლისაგან გა-  
ფუჭდეს.

მავლინებელი სსნარი ძალიან ჩქარა იხრწნება, ამიტომ იგი

კარგად თავდაცულ ბოთლებში უნდა გვქონდეს შენახული. მრავალი ფოტოგრაფიული რეცეპტიდან აღწეროთ რამდენიმე, მუშაობისათვის ყველაზე უფრო მოხერხებული რეცეპტი.

ხსნარების შედგენისას მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ნივთიერებანი უნდა გავხსნათ აუცილებლად იმ წესით, რაც ნაჩენებია რეცეპტში, ე. ი. ცალკეული ნივთიერებები უნდა გაიხსნას ერთიმეორის მიყოლებით, თანამიმდევრულად, განსაზღვრული წესით: თვითეული შემდგომი ნივთიერება უნდა დავუმატოთ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც წინა ნივთიერება სავსებით გაიხსნება.

მავლინებელთა რეცეპტები. გლიცინის მავლინებელი — გლიცინი ნელა მოქმედ მავლინებელთა რიცხვს ეკუთვნის. თავისი ხარისხით იგი ერთ-ერთ საუკეთესო მავლინებლად ითვლება. იგი ნელა მოქმედებს და გვაძლევს სუფთა ნეგატივს კარგი გრადაციით. ყველაზე უფრო მოხერხებული ტემპერატურა ნორმალურად ექსპონირებული ნეგატივების გამოვლინებისათვის არის 17—18°C. გლიცინის მავლინებელი საშუალებას გვაძლევს მნიშვნელოვნად გამოვასწოროთ ექსპონიციის დროს დაშვებული შეცდომა.

### სათადარიგო ხსნარი:

№ 1. წყალი 50°C	1.000 სმ <sup>3</sup> ;
სულფიტი (კრისტალური ნატრიუმის სულფიტი)	50 გრამი;
სოდა (კრისტალური ნატრიუმის კარბონატი)	100 "
გლიცინი	10 "

გამოვლინების ხანგრძლიობა აბაზანაში 17—18° ტემპერატურის დროს არის 6-დან 10 წუთამდე. თუ გამოვლინება ავზში წარმოებს, მავლინებელს უნდა გავურიოთ წყალი ორმაგი რაოდენობით და გამოვლინება ვაწარმოოთ 20-დან 25 წუთამდე. ტემპერატურა უნდა იყოს 18°C.

მეთოლ-ჰიდროქინონის მავლინებელი. მეთოლ-ჰიდროქინონინის კომბინირებულ მავლინებელში მეთოლის ყველა უპირატესობაა, როგორიცაა, მაგალითად, ჩქარი გამოვლინება, გამძლეობა ტემპერატურის ცვლილებისადმი, ბრომქალიუმის მიმატებისადმი და სხვ., — შეერთებულია ჰიდროქინონის უნართან, რომელიც გვაძლევს კარგად დაფარულ (მკვრივ) ნეგატივებს.

მავლინებელში ჰიდროქინონისა და მეთოლის რაოდენობის თანაფარდობის მიხედვით, გამოვლინებული ნეგატივის ხასიათიც იცვლება. ასე მაგალითად, რაც უფრო მეტია ჰიდროქინონი ხსნარში, მით უფრო მევრივი და კონტრასტული იქნება ნეგატივები, და, პირიქით, მეთოლის გადიდება მოგვცემს უფრო სუსტ, მაგრამ კარგად დეტალირებულ ნეგატივებს.

### სათადარიგო ხსნარი:

№ 2. წყალი 50°C	1.000	სგ <sup>3</sup>
მ ე თ ო ლ ი	3	გრამი
სულფიტი (კრისტალური ნატრიუმის სულფიტი)	90	"
ჰიდროქინონი	12	"
სოდა (კრისტალური ნატრიუმის კარბონატი)	180	"
ბრომეკლიუმი	2	"

გამოვლინება გრძელდება: აბაზანაში—4 წუთს, აეზში—5 წუთს. ტემპერატურა გამოვლინების დროს—18°C.

მავლინებელი D = 76 (ეგრეთ წოდებული წვრილმარცვლოვანი). გავეცნოთ წვრილმარცვლოვანი მავლინებლის დადებით მხარეს და ორიოდე სიტყვით შევეხოთ მარცვლის ბუნებას.

თუ ნეგატივს სინათლეზე გავსინჯავთ გამადიდებელი მინის საშუალებით, ადვილად შევნიშნავთ, რომ ნეგატივზე მიღებული გამოსახულება მრავალი ცოტად თუ ბევრად მსხვილი წერტილისაგან—მარცვლებისაგან შედგება. როცა მუშაობა წარმოებს შედარებით დიდი ზომის ფოტოკამერით (ვთქვათ, 6 × 9 სანტიმეტრი და მეტი), ამ მოვლენას ჩვეულებრივ დიდ მნიშვნელობას არ აძლევენ, რადგან სამ-ოთხჯერადი ხაზობრივი გადიდების დროსაც კი იგი მაინცდამაინც ძლიერ არ იჩენს თავს. 6 × 9 სანტიმეტრი ნეგატივიდან ოთხჯერადი გადიდება გვაძლევს ანაბეჭდს ზომით 24 × 30 სანტიმეტრი.

სხვა მდგომარეობა გვაქვს, როდესაც ვადიდებთ სურათს ფოტოკამერა „ფედ“-ის ნეგატივით. ასეთი პატარა ნეგატივიდან რომ 24 × 30 სანტიმეტრი ზომის ანაბეჭდი მივიღოთ, საჭიროა თითქმის ათჯერადი ხაზობრივი გადიდება. ასეთი გადიდებისას ნეგატივის მარცვალი იმდენად ცხადადი ისახება ანაბეჭდზე, რომ

საჭირო ხდება მეტად სერიოზული ბრძოლა მის წინააღმდეგ. წვრილმარცვლოვანი სანეგატივო მასალის წარმოებასა და გამოშვებასთან ერთად, წარმოქრა საკითხი, რომ შესწავლილი ყოფილიყო წვრილმარცვლოვანი, ე. ი. იმ მავლინებლის თვისებები, რომლის ხმარების დროსაც ვიღებთ წვრილმარცვლოვან გამოსახულებას. წვრილმარცვლოვანი მავლინებლის რეცეპტი ბევრია, ჩვენ კი აღვწეროთ ერთი, უფრო პრაქტიკულად გამოყენებული.

№ 3 წვრილმარცვლოვანი მავლინებელი . . . D = 76;

მ ე თ ო ლ ი . . . . . . . . . . . . . . .	2 გრამი;
ჰიდროქინონი . . . . . . . . . . .	6 "
სულფიტი კრისტალური . . . . .	200 "
ბორაკსი (ბურა) კრისტალი . . . . .	2 "
შ ყ ა ლ ი . . . . . . . . . . . . . . .	1 000 სმ³;

მიღებულია მავლინებლის შედგენის შემდეგი მეთოდი: ცოტაოდენ წყალში, რომლის ტემპერატურა უდრის 5°C, გავხსნით მეთოლს. ცალკე, ცხელ წყალში (60°C) გავხსნით დაახლოებით სულფიტის ნახევარს, ხოლო მის შემდეგ — ჰიდროქინონს. როდესაც ჰიდროქინონი გაიხსნება, მეორე ხსნარს პირველში ჩავასხამთ. ერთდროულად ასეთსავე ცხელ წყალში გავხსნით სულფიტის დანარჩენ ნაწილს და ბორაკს. მიღებულ ხსნარს ჩავასხამთ პირველ ჭურჭელში და მივუმატებთ ცივ წყალს საჭირო მოცულობამდე.

D = 76 მავლინებელში გამოვლინების ხანგრძლიობა, როცა ტემპერატურა უდრის 20°C, 18 წუთია.

გამამყარებელი ხსნარი. როდესაც გამოვლინებას დავამთავრებთ, ფირს თუ ფირფიტას ორი წამით გავავლებთ წყალში და გადავიტანთ გამამყარებელ ხსნარში (ფიქსაციში).

როგორც ცნობილია: 1) ფირის ექსპონირებისას ემულსიის ვერცხლის ბრომიდის უმნიშვნელო ნაწილი ლითონურ ვერცხლად იქცევა; 2) გამოვლინებისას მავლინებელი ნივთიერება ვერცხლის ბრომიდის ნაწილს აღადგენს ლითონურ ვერცხლად იმ ადგილებში, სადაც სინათლემ იმოქმედა. ემულსიის ვერცხლის ბრომიდის დიდი ნაწილი, თითქმის 75%, უცვლელი რჩება.

ამგვარად, თუ გამოვლინების შემდეგ ნეგატივს სინათლეზე გავხედავთ, ის ძალიან ნაკლებ გამჭვირვალე იქნება. ასეთი ნეგატივიდან მიღებული ანაბეჭდები ერთი ტონის მჯონე მოდუნებული

გამოვა, ნეგატივი კი არაშეარი იქნება, რადგან მასზე არსებული ვერცხლის ბრომიდი, რაც მეტი ხანი გაივლის, მით უფრო მეტად დაიშლება სინათლის ზემოქმედებით და გამოხატულება სულ უფრო და უფრო გაფუჭდება. აქედან ცხადია, რომ დარჩენილი ვერცხლის ბრომიდი ჩაიმეტავთ უნდა მოვაცილოთ ნეგატივს.

ამ მოცილების პროცესს უწოდებენ ხილული გა-  
მოსახულების ფიქსირებას ანუ გამყარებას.

ჩვეულებრივი გამამყარებელი სსნარის შემაღენლობა მეტად  
მარტივია; იგი წარმოადგენს წყალში გახსნილ ჰიპოსულფიტს.  
ჩვეულებრივ სარგებლობენ შემდეგ სსნარით:

1.000 ₦<sup>3</sup>;

ଶିଳ୍ପିଙ୍କର ମୂଲ୍ୟରେ 250-300 ଗ୍ରାମିକି

ჩვეულებრივ გამამყარებელ ხსნარს აქვს თავისი უარყოფითი მხარეები, მაგალითად, მასში ჩაღებულ ფირზე თუ ფირფიტაზე რამდენიმე ხანს გაგრძელდება ჰილოიდური ვერცხლის აღდგენის, ე. ი. გამოვლინების პროცესი, რასაც შეუძლია ცუდი გავლენა მოახდინოს ნეგატივზე, განსაკუთრებით, როდესაც სწრაფმოქმედ მავლინებელს ვემარობთ.

გამოვლინების პროცესის დაუყოვნებლივ შესაწყვეტად მუავე ფიქსაჟს ხმარობენ. მუავე ეწოდება ისეთ ფიქსაჟს, რომლის შემაღენლობაში შედის რაიმე სიმუავე ან მუავე მარილი: ლიმონ-მუავა, ლვინის მუავა, ბორის მუავა, ალუმინ-კალიუმის შაბი ან ჩეულებრივი შაბი და სხვ.

მევე ფიქსაჟს ის უპირატესობა აქვს, რომ ის დაუყოვნებლივ  
სწყვეტს გამოვლინების პროცესს, ადილებს უელატინის სიმტკიცეს  
მცირე თრიმლვის გამო.

მუავე ფიქსაცი მოითხოვს ნეგატივის უფრო ხანგრძლივ რეც-  
ხვას, ვიდრე ჩვეულებრივი ფიქსაცი.

\* \* \*

ახლა შევეხოთ ექსპოზიციისა და გამოვლინების დროის გაფ-  
ლენას ნეგატივის ხარისხზე: გადაღების დროს ხანდაკლებულ ექს-  
პოზიციას, ნორმალურ და ხანგრძლივ ექსპოზიციას, ხანდაკლებით  
გამოვლინებულ და ხანგრძლივიგად გამოვლინებულ ნეგატივებს.

ნეგატივის ხარისხი უმთავრესად ორ პირობაზეა დამკიდებული: 1) ექსპოზიციაზე და 2) გამოვლინების დროზე.

თვითოული ამ პირობათაგან თავის განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ნეგატივის ხარისხზე. ექსპოზიციის ხანგრძლივობის მიხედ-



ვით შეიძლება მივიღოთ ნორმალური, ხანდაკლებული (ექსპოზიცია-დაკლებული) და ხანგრძლივი (ექსპოზიცია-გადამეტებული) ნეგატი-ვები. გამოვლინების დროის შეცვლა კი გვაძლევს ხანდაკლებით გამოვლინებულ, ნორმალური დროით ან ხანგრძლივად გამოვლი-ნებულ ნეგატივებს.

დასხვმების გასაადვილებლად და განსამტკიცებლად მოვი-ყვანთ მაგალითები, თუ როგორ გამოიყურება გადაღების დროს: 1) ნორმალურად ექსპონირებული, 2) ორასაკმარისად ექსპონირე-ბული (ხანდაკლებული) და 3) მეტისმეტად ექსპონირებული ნეგა-ტივები და მათი გამოვლინების შედეგები.

პირველი. თუ ნორმალური ექსპოზიცია გვაქვს და გამოვ-ლინება ( ნორმალურად შევასრულეთ, მაშინ ნეგატივი კარგადაა დაფარული, ტონების გრადაცია დიდია (სრულია), დეტალები კარგადაა დამუშავებული, ბინდი არ არის.

მეორე. თუ ექსპოზიცია ნორმალური გვაქვს და ნეგატივს გამოვლინება აკლია, მაშინ ნეგატივის საერთო სიმკვრივე უმნი-შვნელოა, დეტალები ჩრდილში არასაკმარისია ან სრულიად არ არის, კონტრასტები უმნიშვნელოა, ბინდი არ არის.

მესამე. თუ ექსპოზიცია ნორმალური გვაქვს და ნეგატივს ხანგრძლივი გამოვლინება განუცდია, მაშინ ნეგატივის საერთო სიმკვრივე უფრო მნიშვნელოვანია, არის სრულიად არაგამჭვირვა-ლე ადგილები, დეტალები ძლიერ დამუშავებულია, კონტრასტები საშუალოა ან თითქმის არ არის, ბინდი მნიშვნელოვანია.

მეოთხე. თუ ორასაკმარისი (ხანდაკლებული) ექსპოზიცია გვაქვს და ნეგატივი ნორმალურადაა გამოვლინებული, მაშინ ნე-გატივის საერთო სიმკვრივე უმნიშვნელოა, ჩრდილის დეტალები არასაკმარისია, შუქი კარგად არის გამომუშავებული და დეტალი-რებული, ნეგატივი კონტრასტულია, ბინდი არ არის.

მეხუთე. თუ ხანდაკლებული ექსპოზიცია გვაქვს და ნეგატივს გამოვლინება აკლია, მაშინ ნეგატივის საერთო სიმკვრივე ძალიან მცირეა, ჩრდილი სრულიად მოკლებულია დეტალებს, ნახევარჩრდი-ლების დეტალები არასაკმარისია, შუქი გამომუშავებულია, ნეგა-ტივი ძალიან კონტრასტულია.

მეექვსე. თუ ხანდაკლებული ექსპოზიცია გვაქვს და ნეგა-ტივის გამოვლინება გადამეტებულია, მაშინ ნეგატივის საერთო სიმკვრივე მნიშვნელოვანია, ჩრდილის დეტალები არასაკმარისია,

შუქი კარგადაა გამომუშავებული და დეტალირებული, ბინდი  
ძლიერია.

მე შვი დე. ოუ ხანგრძლივი ექსპოზიცია გვაქვს და გამოვლი-  
ნება ნორმალურად ჩავატარეთ, მაშინ ნეგატივის საერთო სიმკვრი-  
ვი მნიშვნელოვანია, კონტრასტები შუქსა და ჩრდილს შორის არ  
არის, ნეგატივი მოდუნებულია, ბინდი არის.

მე რვე. ოუ ხანგრძლივი ექსპოზიცია გვაქვს და ნეგატივს  
გამოვლინება აკლია, მაშინ ნეგატივის საერთო სიმკვრივე უმნი-  
შვნელოა, ნეგატივი ძალიან მოდუნებულია კონტრასტების უქონ-  
ლობის გამო, ბინდი უმნიშვნელოა.

მე ცხრე. ოუ ხანგრძლივი ექსპოზიცია გვაქვს და ნეგატივის  
გამოვლინება გადამეტებულია, მაშინ ნეგატივი მეტისმეტად მკვრი-  
ვია, კონტრასტები არ არის, ბინდი მეტად ძლიერია.

აი ექსპოზიციის და გამოვლინების ყველა ნაკლი და მათი  
წარმოშობის მიზეზი. ოუ ფოტომოუვარულს აქვს ხარისხით  
განსხვავებული ნეგატივები, მან ისინი ყურადღებით უნდა შეისწა-  
ვლოს და თვითეულ ნეგატივს ჩბილი, ჩემულებრივი ფანქრით  
ქვეშ წაწეროს—რაში მდგომარეობს განსხვავება ნორმალურ, გა-  
მოვლინებადაკლებულ და გამოვლინებაგადამეტებულ ნეგატივებს  
შორის. ასეთი ნეგატივები უნდა შევინახოთ, რადგან ისინი მაგა-  
ლითისათვის გამოგვადგება.



3560 1 856.



Действительный член Общества  
Д. Е. КАНДЕЛАКИ

ФОТОГРАФИЯ  
(Основные вопросы для фотолюбителей)  
(На грузинском языке)

Издание Общества по распространению политических  
и научных знаний Грузинской ССР

Тбилиси

1952